რა არის C ჰეპატიტი

C ჰეპატიტი ვირუსით გამოწვეული ღვიძლის დაავადებაა. ინფექციის გადაცემის ძირითად ფაქტორს სისხლი წარმოადგენს.
C ჰეპატიტი საკმაოდ სერიოზული დაავადებაა! ის ღვიძლის ციროზისა და კიბოს გამომწვევი ყველაზე ხშირი მიზეზია.
C ჰეპატიტის მძიმედ მიმდინარეობას ისიც ართულებს, რომ ხშირად ინფიცირებიდან 20–30 წლის შემდეგ ვლინდება: დაავადებული თავისი ავადმყოფობის შესახებ მხოლოდ მაშინ იგებს, როცა ვირუსის მიერ ღვიძლი უკვე დაზიანებულია.

ეწვიეთ ჩვენს ინტერნეტ გვერდს
www.ncdc.ge

და შემოგვიერთდით ფეისბუკ გვერდზე:
„ჯანმრთელობის ხელშეწყობა“

www.ncdc.ge

www.moh.gov.ge

ინფორმაციისათვის:

დარეკეთ: 1505 ან 255 39 39

საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

NCDC
დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

რა გზებით ხდება C ვირუსული ჰეპატიტის გადაცემა?

- კანის მთლიანობის დარღვევისას სისხლის მეშვეობით;
- საერთო შპრიცის გამოყენებით;
- არასტერილური ინსტრუმენტების გამოყენებით (სტომატოლოგიური, სხვა სამედიცინო პროცედურების, ან მანიკური/პედიკური/ტატუ/პირსინგის გაკეთების დროს) C ჰეპატიტით ინფიცირებული პირისგან სისხლის გადასხმით ან ორგანოების გადანერგვით;
- ისეთი საოჯახო ნივთების გამოყენებით, რომელთაც შესაძლებელია შეხება ჰქონდეთ სისხლთან. მაგ: საპარსი, კბილის ჯაგრისი, ფრჩხილების მაკრატელი და ა.შ.
- სქესობრივი გზით (გადაცემის ალბათობა 3-5 %-ია);
- პერინატალური გადაცემა - დედიდან ბავშვზე გადაცემა მშობიარობის დროს (4-7%-ში).

C ჰეპატიტის მაღალი რისკის ჯგუფებს მიეკუთვნებიან:

- ნარკოტიკების ინექციური გზით მომხმარებლები;
- C ჰეპატიტით ინფიცირებულ პირთა ოჯახის წევრები;
- სამედიცინო პერსონალი, რომელთაც სისხლთან ან მის კომპონენტებთან აქვთ კონტაქტი;
- ინფიცირებული დედისგან დაბადებული ბავშვები;
- პირები, რომელთაც სისხლის გადასხმა ან ორგანოთა გადანერგვა ჩაუტარდათ.

ეწვიეთ ჩვენს ინტერნეტ გვერდს

თუ ფიქრობთ, რომ C ჰეპატიტით ინფიცირების რისკის ქვეშ ხართ, ჩაიტარეთ ტესტირება!

ტესტირება ზრდის C ჰეპატიტის ადრეული გამოვლინებისა და წარმატებული მკურნალობის შანსს. დადებითი პასუხის შემთხვევაში თქვენ შეგიძლიათ ჩაერთოთ C ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამაში, რომელიც საქართველოს მოქალაქეებისათვის ხელმისაწვდომს ხდის მსოფლიოში ყველაზე ახალი, ეფექტური და ძვირადღირებული პრეპარატებით მკურნალობას.

გაითვალისწინეთ, რომ წარმატებული მკურნალობის შემდეგ შესაძლებელია ადამიანი კვლავ დაავადდეს C ჰეპატიტით!

როგორ ავიცილოთ თავიდან C ჰეპატიტი?

- არ გამოიყენოთ ნახმარი შპრიცი;
- არ იხმაროთსხვისი კბილის ჯაგრისი, საპარსი, ფრჩხილების საჭრელი მაკრატელი და ა.შ.
- სქესობრივი კონტაქტისას გამოიყენეთ პრეზერვატივი;
- ჰკითხეთ თქვენს ექიმს, სტომატოლოგს, დალაქს, მანიკურის/პედიკურის სპეციალისტს, არის თუ არა მათ მიერ გამოყენებული ინსტრუმენტები სტერილური.

www.ncdc.ge